ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 33

ქ. თბილისი **09 თებერვალი 2023 წელი**

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები
ერთის მხრივ, **სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო** (შემდგომში - „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის ნინო ველთაურის სახით და მეორეს მხრივ მხრივ **ინდივიდუალური მეწარმე ილია ივანიძე** (შემდგომში - „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი ილია ივანიძის სახით, ვმოქმედებთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ს[1] ქვეპუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს ბრძანება №13-ის მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. **ხელშეკრულების საგანი და ობიექტი**
2.1. ხელშეკრულების საგანია: სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს ბიუჯეტის სახსრებით, მიმდინარე წლის 11 და 12 თებერვალს, თელავის მუნიციპალიტეტში, ლოპოტა სპა&რეზორტში დაგეგმილ სამუშაო შეხვედრაზე სააგენტოს თანამშრომლებისთვის ავტობუსებით გადაადგილების მომსახურების (CPV-60170000 – სამგზავრო სატრანსპორტო საშუალებების დაქირავება მძღოლთან ერთად) შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.
2.2. ხელშეკრულების ობიექტია: 2023 წლის 11 და 12 თებერვალს, ევროკავშირის ტექნიკური დახმარების ჯგუფის (GOPA) მიერ ორგანიზებულ სამუშაო-სასწავლო ტრენინგ/სემინარზე, სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს თანამშრომლების ავტობუსებით გადაადგილება ქ.თბილისიდან თელავის მუნიციპალიტეტში, ლოპოტა სპა&რეზორტში (2023 წლის 11 თებერვალს) და თელავის მუნიციპალიტეტიდან, ლოპოტა სპა&რეზორტი, ქ.თბილისში (2023 წლის 12 თებერვალს). სატრანსპორტო საშუალებების მონაცემები: 1) SCANIA-K114IB4X2NB340, სახელმწიფო ნომრით: TT 550 TH; 2) MERCEDES BENZ-1842LL; სახელმწიფო ნომრით ZE 003 DG.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება
3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.
3.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს **2 200.00 (ორი ათას ორასი) ლარს** ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯების ჩათვლით.
3.3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. მომსახურების გაწევის პირობები
4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდებას უზრუნველყოფს მიმწოდებელი საკუთარი ხარჯებით.
4.2. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიწოდება 2023 წლის 11-12 თებერვალს.
4.3. 2023 წლის 11 თებერვალს ქ.თბილისში ავტობუსების გამოცხადების დროა 07:30სთ, გასვლა 08:00 სთ. გასვლის ადგილია: ქ.თბილისი, რესპუბლიკის მოედანი („ველოსიპედთან“). 12 თებერვალს ლოპოტა სპა&რეზორტიში, ავტობუსების გამოცხადების დროა 15:30სთ, გასვლა 16:00 სთ.
4.4. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს გაუწიოს მაღალხარისხიანი მომსახურება.
4.5. შესყიდვის ობიექტის ტექნიკურ მახასიათებლებთან შეუსაბამობის შემთხვევაში, მიწოდება ჩაითვლება შეუსრულებელ ვალდებულებად.

5. შესყიდვის ობიექტის ხარისხი
5.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.
5.2. შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

6. შესყიდვის ობიქტის მიღება-ჩაბარების წესი
6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.
6.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილი პირია: შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი - დავით ბაბაიანი.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები)
7.1. მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.
7.2. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება ერთჯერადად შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
7.3. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი
8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

8.1.1. შეამოწმოს მიწოდებული ხელშეკრულების ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;
8.1.2. აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი.
8.2. შემსყიდველი ვალდებულია:
8.2.1. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
8.2.2. მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
8.2.3. უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.
8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:
8.3.1. მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული ხელშეკრულების ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
8.4.1. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.
8.4.2. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულების გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.
9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.
9.5. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობისათვის (მ.შ. ტექნიკურ მახასიათებლებთან შესყიდვის ობიექტის შეუსაბამობის შემთხვევაში) მიმწოდებელს შეიძლება დაეკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების ან შეუსრულებელი ნაწილის 10%-ის ოდენობით იმისდა მიხედვით მთლიანად არის ვალდებულება შეუსრულებელი თუ ნაწილობრივ;
9.6. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.02 %-ს.
9.7. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს დამრღვევ მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრის ვალდებულებების შესრულებისაგან.
9.8. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 0,2%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელების წესი

10.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმოთ.
10.2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

11. ფორს-მაჟორი

11.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
11.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს

ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების ობიექტის მიწოდების პარალელურად მოახდინოს მისი შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან; ასევე კონტროლისა და ზედამხვედველობის განხორციელება.

13.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ წინამდებარე ხელშეკრულების 6.2 მუხლში აღნიშნული პირ(ებ)ი.

13.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული ხელშეკრულების ობიექტის რაოდენობისა და წუნდების მიზეზების მითითებით.

13.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

14.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

14.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ელექტრონული ფორმატით, რომლის ამონაბეჭდი არის ელექტრონული დოკუმენტის ასლი და მას ელექტრონული დოკუმენტის თანაბარი იურიდიული ძალა აქვს. ელექრონული დოკუმენტი ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან **2023 წლის 31 მარტის ჩათვლით.**

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
სსიპ - დასაქმების ხელშეწყობისსახელმწიფო სააგენტო	**ინდივიდუალური მეწარმე ილია ივანიძე**
ს/კ 200293315	**პ/ნ 12001091464**
მის: ქ.თბილისი, მ. ასათიანის 9	მის: გარდაბნის რაიონი , სოფ.გამარჯვება
ბანკი: სახელმწიფო ხაზინა	ბანკის დასახელება: ს.ს „საქართველოს ბანკი“
ბ.კ: TRESGE22	ბ.კ: BAGAGE22
ანგ. ნომერი: GE24NB0330100200165022	ა/ა GE04BG0000000539782070
	ტელ: 599 558 896
საკონტაქტო ელ.ფოსტა: khatuna.menabdishvili@gmail.com	ელ. ფოსტა: zedgena15@gmail.com

LEPL state employment promotion agency

Digitally signed by LEPL state employment promotion agency
Date: 2023.02.09 17:27:31 +04'00'

<u>ხელშეკრულება დამოწმებულია მხარეთა მიერ ელექტრონული ფორმით</u>

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი **09 თებერვალი, 2023 წელი**

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლის თანახმად, ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ 2023 წლის 09 თებერვალს **ინდივიდუალური მეწარმე ილია ივანიძე-სთან** გასაფორმებელ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ #33 ხელშეკრულებაში ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

დირექტორი ნინო ველთაური

შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი სალომე კუკავა

საფუძველი: მოხსენებითი ბარათი #00121867 03.02.2023წ;